საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030179873222119

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/1791 **04 / თებერვალი / 2019 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრების კომუნალური ხარჯების დასაფინანსებლად მიმდინარე კვარტალში ესაჭიროება „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების გაზრდა, რომელიც საჭიროა განხორციელდეს „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვის“ (პროგრამული კოდი - 27 01 04) პროგრამის დეტალურ ჩაშლაში ცვლილებების შესაბამისად.

ასევე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (N3/ბ-178-2018წ.) სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს ავთანდილ ტაბიძის სასარგებლოდ დაევალა სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი-27 02 01) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება“ (პროგრამული კოდი- 27 05 01) პროგრამის ფარგლებში და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატს „შრომის პირობების ინსპექტირება“ (პროგრამული კოდი: 27 05 02) პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლების ანაზღაურების მიზნით, ესაჭიროებათ ამავე პროგრამების ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების გაზრდა, „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე.

გთხოვთ, განახორციელოთ „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვის“ (პროგრამული კოდი 27 01 04) პროგრამის დეტალურ ჩაშლაში ცვლილებები და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31- ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამტკიცებულ გეგმაში ცცლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური